ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კახაბერ გობრონიძის
2014 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში

მე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კახაბერ გობრონიძე, წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ვარ ლიხაურის მაჟორიტარული ოლქიდან. 2014წლის 2 აგვისტოდან 2014 წლის დეკემბრამდე ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატები“-ს თავმჯდომარე.

2014 წლის 2 აგვისტოდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 14 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებულ იქნა 100 განკარგულება, დამტკიცდა 49 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიების სხდომებში. სულ ჩატარდა „ სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის“ კომისიის 11 და „ აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების“ კომისიის 10 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრაქცია „ ქართული ოცნება- თავისუფალი დემოკრატები“ -ს 3 სხდომა, მონაწილეობა მივიღე გაერთიანებული ფრაქციების სხდომებში.

2014 წლის 3 დეკემბრიდან უარი ვთქვი ფრაქცია „ ქართული ოცნება- თავისუფალი დემოკრატები“- ს თავმჯდომარეობაზე და დავტოვე ფრაქცია.

2014 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრამდე 5-ჯერ მაქვს ჩატარებული შეხვედრა ამორჩევლებთან. მოქალაქეებთან შეხვედრებისას წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა სოფლის გაზიფიცირების დასრულებას, გზების სარემონტო სამუშაოების შესრულებას. წყლის ქსელის რეაბილიტაციას, სარწყავი არხის სათავე ნაგებობის აღდგენას, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარებას და დასაქმების პრობლემას.

აღნიშნული პრობლემებიდან აღსანიშნავია, რომ სოფელ ლიხაურში გადაიჭრა შიდა გზის მოწესრიგების პრობლემა, დანარჩენი საკითხები განხილულია და მიმდინარეობს მათზე მუშაობა.